



GREENALT
ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ პოზიცია

7 ნოემბერი, 2012

მხარეების მიერ წარმოდგენილ შესაგებელთან დაკავშირებით:

1. გარემოს დაცვის სამინისტრო

1.1 მოპასუხემ თავის შესაგებელში წარმოგვიდგინა ჩვენს სარჩელში წარმოდგენილი #1 ფაქტობრივი უსწორობის თავისებური და ჩვენთვის გაუგებარი შინაარსი, რომ თითქოს ჩვენი მტკიცებით გასაჩივრებული აქტით მოხდა დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებული ფართობის ჰესის მშენებლობისათვის გადაცემა.

მგავსი შინაარსის მტკიცება არსად გავიკეთებია, შესაბამისად არ შევჩერდებით მოპასუხის კიდევ უფრო აბსურდულ განმარტებაზე, იმის თაობაზე თუ რატომ არ არის ეს მტკიცება სწორი.

1.2 მოპასუხე აღნიშნავს რომ უსაფუძვლოა ჩვენი მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არ იმსჯელა "ორჰუსის ცენტრი საქართველოში"-ის ვებ-გვერდზე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სრულიად განსხვავებული ვადები იქნა მითითებული. ამასთან აღნიშნულის მტკიცებულებად მოჰყავს სხდომის ოქმი და სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი. გარდა იმისა, რომ ჩვენც ვესწრებოდით ამ სხდომებს და ვერ მოვისმენეთ სასამართლოს მსჯელობა ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადებაში მითითებულ თარიღსა (2 დეკემბერი) და სამინისტროს მიერ წარმოების დამთავრების თარიღს (28 ნოემბერი) შორის შეუსაბამობის ფაქტთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მრავალგზის შესწავლის შედეგადაც ვერ მივაგენით მოპასუხის მიერ ხსენებულ მომენტს, როდესაც სასამართლო იმსჯელა აღნიშნული ფაქტის შესახებ.

1.3 მოპასუხე მიუთითებს, რომ არასწორია ჩვენი მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არ იმსჯელა მასზედ, რომ აქტის გამოცემისას შეიზღუდა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" უფლება მონაწილეობა მიეღო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნულის დამადასტურებლად მოპასუხე მიუთითებს, რომ „გზმ-ს სამინისტროში შემოსვლის მეორე დღესვე მომზადდა სამინისტროს_შეტყობინება-წერილი აპელანტისადმი, რომ გზმ სამინისტროში შემოვიდა განსახილველად და დასკვნის მოსამზადებლად, და რამდენადაც შეგპირდით - გაყენებთ საქმის კურსშიო (თუმცა, ამის არანაირი ვალდებულება სამინისტროს არ გააჩნდა).

საქმეც სწორედ ამაშია, რომ გზმ-ს სამინისტროში შესვლის მეორე დღესვე (18 ნოემბერს) მომზადებული წერილი, რატომღაც მწვანე ალტერნატივასთან მხოლოდ 28 ნოემბერს მოხვდა და ამ ფაქტზე ჩვენ მივუთითებდით სარჩელში, თუმცა სასამართლომ არ ჩათვალა ეს განხილვისთვის

საინტერესო ღირებულების მქონე გარემოებად და შესაბამისად, არც შეეცადა მიზეზებში გარკვევას. თუმცა ეს ფაქტი სამინისტროს მიერ "მწვანე ალტერნატივას" გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის მცდელობის მხოლოდ ნაწილი იყო; მეორე ყოველად სამარცხვინო ნაწილი ამ მცდელობისა იყო ადმინისტრაციული წარმოების ვადების (ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შემდეგ) შეცვლა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს გარემოება საერთოდ უგულვებელყოფილ იქნა სასამართლოს მიერ.

რაც შეეხება მოპასუხის შენიშვნას იმის თაობაზე, რომ სამინისტროს არ გააჩნდა მწვანე ალტერნატივასათვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება, ვიმედოვნებთ, რომ ეს წერისას დაშვებული მექანიკური შეცდომაა და თავს შევიკავებთ რაიმე შეფასების გაკეთებისგან; რადგან სასამართლო განხილვაზე ვრცელი მსჯელობა იყო იმასთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა სამინისტროს ეს ვალდებულება და მოპასუხის ორივე წარმომადგენელი ნათლად დაგვეთანხმდა, რომ სამინისტროს გააჩნდა ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი ვალდებულება. მეტიც, ისინი ამკიცებდნენ, რომ სამინისტრომ პირნათლად შეასრულა ეს ვალდებულება.

2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია (მესამე პირი)

მესამე პირის მიერ წარმოდგენილი შესაგებელიდან შევიტყვეთ, რომ მხარე არ ეთანხმება ჩვენს აპელაციაში მითითებულ არცერთ ფაქტობრივ უსწორობას, თუმცა განმარტების უკიდურესი სიზოგადის გამო, ვერ შევიტყვეთ ამის მიზეზებისა და მტკიცებულებების შესახებ.

3. პოზიცია თავად სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებასთან დაკავშირებით

3.1 სასამართლოს გადაწყვეტილებაში (პუნქტი 7.1) ნათლად არის მითითებული, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთანავე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32ე ან 34ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამასთანავე, გადაწყვეტილების 7.7 პუნქტში, „სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება თუ უკანონობა სასამართლოს მიერ დგინდება უშუალოდ განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა-შეუსაბამობის განსაზღვრით“. გარდა იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული რა სამართლებრივ ნორმას ეყრდნობა სასამართლოს ზემოთ მოყვანილი განმარტება, გაუგებარია, ასეთ შემთხვევაში როგორ ამოწმებს სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადგილი ჰქონდა თუ არა კანონის ისეთი დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლო თავის შეფასებაში (გადაწყვეტილების 7.6 და 7.7) სწორედაც, რომ დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, აქტის მიღებით დაირღვა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-20 მუხლების ნორმები, რომელთა თანახმად დაუშვებელი/აკრძალული იყო საქმიანობის განმხორციელების მიერ შემოთავაზებულ ტერიტორიაზე (აქტის გამოცემისას ტერიტორიის სტატუსის გათვალისწინებით) არათუ ჰესის სადერივაციო მილსადენის, სალექარისა და სადერივაციო გვირაბის შესასვლელი პორტალის მოწყობა, არამედ ნებისმიერი სახის ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე. როგორც მოგეხსენებათ ეს იყო, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა, რომელიც ეწყობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის (ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება). ანუ, ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როდესაც არსებობდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება - შპს „დარიალ ენერჯი“ არ გაიცემოდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მდ. თერგზე 110 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განთავსებაზე.

ამდენად, სასამართლოს თუნდაც ამ ერთი გარემოების შეფასებით უკვე ჰქონდა ნათელი და უდავო საფუძველი ჩვენი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის.

3.2 სიმართლეს არ შეესაბამება და გაურკვეველია რა მტკიცებულებას ეყრდნობა სასამართლოს გადაწყვეტილება 7.3 პუნქტში მოქვენილი შეფასება: „სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება-გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მოსარჩელე ჩაბმული იყო დაინტერესებული მხარის სახით, მისთვის ხელმისაწვდომი იყო შპს „დარიალი ენერჯის“ მიერ მომზადებული გზმ-ის ელექტრონული ვერსია, რომელთან დაკავშირებითაც მან გამოთქვა შენიშვნები, რომელიც ასევე გახდა მოპასუხის და მესამე პირთა მსჯელობის საგანი.

მწვანე ალტერნატივას ნამდვილად ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო მონაწილეობა დარიალი ენერჯის მიერ მოწყობილ განხილვებში და წარედგინა თავისი შენიშვნები და მოსაზრებები გზმ-ს საჯარო განხილვებისთვის ხელმისაწვდომ ვერსიაზე. ეს ფაქტი ჩვენ არც გაგვიხდია სადაოდ, პირიქით, თავად წარვადგინეთ მტკიცებულებები. გაურკვეველი დარჩა მხოლოდ:

- რის საფუძველზე დაასკვნა სასამართლომ რომ ეს იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება-გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა, მაშინ როდესაც გარემოს დაცვის სამინისტროში წარმოება ჯერ არ იყო დაწყებული;
- რის საფუძველზე დაასკვნა სასამართლომ რომ მწვანე ალტერნატივას შენიშვნები „გახდა მოპასუხის და მესამე პირთა მსჯელობის საგანი“? პირველად მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს შენიშვნები მხოლოდ გასაცნობად გაუგზავნა, ვინაიდან წარმოება ჯერ არ იყო დაწყებული, შესაბამისად სამინისტროს არ ჰქონდა არც უფლება, არც მოვალეობა და რაც

მთავარია, შესაძლებლობა ემსჯელა წარდგენილ შენიშვნებზე. მეორედ კი სამინისტრომ ვერ „მოასწო“ ჩვენი შენიშვნების განხილვა, ვინაიდან გამოცხადებულ ვადაზე ადრე, კანონდარღვევით გასცა ნებართვა. ასევე, უცნობია საიდან შეტყო სასამართლომ იმის შესახებ, რომ ჩვენი შენიშვნები დარიალი ენერჯის მსჯელობის საგანი გახდა. სინამდვილეში, პირიქით, დარიალი ენერჯიმ, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც მიიღო ჩვენი შენიშვნები არ იმსჯელა მათზე. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გზშ-ს საბოლოო ვერსიას არ ახლავდა მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და მათი გათვალისწინების თუ არ გათვალისწინების ფაქტთან დაკავშირებული განმარტებები, როგორც ეს მას ევალებოდა გზშ-ს შესახებ დებულების მე-6 მუხლის 3 პუნქტით.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ვერსიები რომელიც მწვანე ალტერნატივასათვის ხელმისაწვდომი გახდა ჯერ (1) დარიალი ენერჯის მიერ საჯარო განხილვებისას და შემდეგ (2) სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას არა თუ მნიშვნელოვნად, არამედ რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუკი, საჯარო განხილვების ხელმისაწვდომ დოკუმენტში სადაო იყო გამოყენებული მონაცემების სანდოობა, მიდგომები და ჩატარებული კვლევების ხარისხი, ან კვლევების არ არსებობა; დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში დარიალი ენერჯი კანონსაწინააღმდეგო ქმედების (დაცულ ტერიტორიაზე მშენებლობის) განხორციელებისათვის ითხოვდა ნებართვას - რაზეც დამატებითი კანონდარღვევით დათანხმდა გარემოს დაცვის სამინისტრო და რაც საბოლოო ჯამში გახდა დავის საგანი.



ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი